საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2651 2020 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიუდიულ პირს – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიეცეს თანხმობა, სააგენტოსა და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ (ს/კ: 404945164) შორის 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (რომლის ფარგლებშიც, სააგენტოს ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №51-ში მდებარე №2 შენობა-ნაგებობის II სართულზე არსებული 164.99 კვ. მ არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:

№01.16.05.009.005.), უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, აუქციონის გარეშე, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, გადაეცა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“, შესაბამისი წლის „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის, „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების“ კომპონენტის ფარგლებში მომსახურების ცენტრის განსათავსებლად) მოქმედების ვადა გააგრძელოს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**